სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
სადოქტორო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“
შემოქმედებითი ტურის მისაღები მოთხოვნები

გასაუბრება (საპროექტო განაცხადი)

გასაუბრება - სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი მოიცავს შემდეგ საკითხებს: დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს მომავალი სადისერტაციო ნაშრომის საპროექტო განაცხადი, სადაც განსაზღვრულია საკვლევი თემა/პრობლემა, მისი დასაბუთებით, აქტუალურობით, მიმოხილულია ლიტერატურა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები, ამოცანები, მეთოდები, მოსალოდნელი შედეგები. სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადი შესაძლებელია ეხებოდეს საშემსრულებლო ხელოვნების თეორიის, ისტორიის, მეთოდიკის, ინტერპრეტაციის საკითხებს. სადისერტაციო კვლევის საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულია სადისერტაციო კვლევის წერილობითი საპროექტო განაცხადი, პრეზენტაცია და დისკუსია.

(საპროექტო განაცხადი ფასდება 40 ქულის ფარგლებში, დადებითი ქულაა 36-40).